საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა
G E O R G I A
KHARAGAULII MUNICIPALITY BOARD

5600, ხარაგაული**, 9** აპრილის ქ**. 15** ტელ**.: (433) 221520**
N15. 9Aprili str. Kharagauli
Tel: (433) 221520
E-mail: kharagauli@imereti.ge

N 49/3468
30/09/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ქალბატონ ინგა მაღრაძეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე არსებულ ავტომანქანა მიცუბიში პაჯეროს სახ. ნომერი CJC-311-ს გაურკვეველი მიზეზის გამო დაუზიანდა უკანა თვლის ამძრავის მრავალბურთულიანი მორგვი საკისარი და ავტომანქანაზე შესაცვლელია სამუხრუჭე ხუნდები, აღნიშნულის გამო ავტომანქანა იმყოფება გაუმართავ მდგომარეობაში და საჭიროებს უმოკლეს ვადებში შეკეთებას რისთვისაც სავარაუდოთ საჭიროა 1200 (ერთიათას ორასი) ლარი, ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე არსებულ ავტომანქანა ნივას სახ. ნომერი WKW-248 -ს სამსახურებრივი საქმიანობისას დაუზიანდა საბურავები და საყრდენები (დისკები). ავტომანქანა მიმაგრებულია ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურზე რომელიც ამოწმებს და ზედამხედველობას უწევს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას, მოგეხსენებათ რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამ პერიოდისათვის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასრულების ეტაპზეა და სამუშაოების მიმდინარეობას პერიოდულად ჭირდება ზედამხედველობის გაწევა ხოლო უკვე დასრულებულ სამუშაოებს შემოწმება და ჩაბარება, ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე საჭიროა უმოკლეს ვადებში განხორციელდეს ავტომანქანისათვის საბურავების და საყრდენების (დისკები) შესყიდვას რომლისთვისაც საჭიროა სავარაუდოთ 1000 (ერთიათასი) ლარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და მოგვცეთ თანხმობა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე განვახორციელოთ სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული წესით ავტომანქანებისათვის საჭირო საწილების, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურეობის შესყიდვაზე.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი